ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა ქართული ლიტერატურა

ქოქუაშვილი ნათია

ერეკლე მეორის სახე ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებასა და მოგონებებში

ნაშრომი შესრულებულია ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ლადო მინაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში მიზნად ვისახავთ დავახასიათოთ, თუ როგორაა წარმოდგენილი ქართველ რომანტიკოსთა მხატვრულ შემოქმედებასა და მოგონებებში მეფე ერეკლეს სახე, მისი დამსახურება და ღვაწლი ქვეყნის წინაშე. ამ თვალსაზრისით ნაშრომში შეძლებისდაგვარად განხილულია გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ორბელიანის,ვახტანგ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ რჩეულიშვილის ლექსები, მოთხრობები და დრამა.

სამაგისტრო ნაშრომში ერთგვარი კანონზომიერებაა დაძებნილი იმ თვალსაზრისით, რომ გრიგოლ, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები თავიანთ ლექსებსა და პოემაში აცოცხლებენ და ხოტბას ასხამენ მეფე ერეკლეს, სახელოვან პაპას, როგორც სწორუპოვარ გმირსა, საარაკო მებრძოლს, უშიშარ სარდალს, რომელმაც სახელი გაითქვა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. ამით ჩვენი მწერლები იმ პირქუშ ეპოქაში ერთგვარად სულს იბრუნებდნენ, შელახულ ღირსებას წარსულის მოგონებებით წამლობდნენ, წარსულშივე დარჩენილები ან ფიქრობდნენ რომ მეფე ერეკლესთან ერთად დაიმარხა ივერიის დიდებაც. ანდა ცდილობდნენ რომ იმედისათვის ეხმოთ სამომავლისოდ. განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი მეფე ერეკლეს სახე ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში. პოეტი წარმოგვიდგენს არა სწორუპოვარ მეომარს,სარდალს, არამედ როგორც შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსს. იგი იყო ის დიდი პოეტი, რომელმაც მეფე ერეკლე პირველმა დაგვიხატა როგორც ქვეყნის ბედით შეწუხებული, მისი სამომავლო არსებობისთვის მზრუნველი, ქვეყნის ორიენტაციაზე მოფიქრალი.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა თვალნათლივ აჩვენა, რომ მეფე ერეკლე არა მარტო სწორად აფასებდა საქართველოს რუსეთთან დაკავშირების აუცილებლობას, არამედ იმასაც უჩვენებდა, რომ ეს თვით ისტორიული აუცილებლობით განსაზღვრული გზაა.დიდმა პოეტმა არა მარტო მოფიქრებული არგუმენტებით აჩვენა მეფის სისწორე

საკითხის გადაჭრის მომენტში, არამედ ისიც სათანადოდ აღნიშნა, რომ მეფის ნაბიჯს შედეგიც სასურველი მოჰყვა. ლექსში ,,საფლავი მეფის ირაკლისა“ ლირიკული თხზულების შესაძლებლობის პირობებში მან ეს სასურველი შედეგებიც წარმოაჩინა.

ბოლოს რომანტიკოსთაგან მეფე ერეკლეს სახე წარმოადგინა პროზაიკოსმა გრიგოლ რჩეულიშვილმა ,,ქვრივის ლიმონებში“. როგორც ევროპული ტიპის პროზაიკოსმა რომანტიკოსმა მან მეფე აქამდე უჩვეულო ყოფით გარემოში წარმოგვიდგინა, რითაც სერიოზული საყვედურები დაიმსახურა. ეს განსხვავება მიუღებელი აღმოჩნდა წარსულის დიდების ხსოვნით მოსულდგმულე, აწმყოთი უკმაყოფილო რომანტიკოსთათვის.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთგვარი გავლენით იგი საქართველოს რუსეთთან დაკავშირების საკითხსაც შეეხო და ამ მხრივ მეფის ფიქრები გადმოშალა, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ოცი წლით დაგვიანებით წერს მოთხრობას, ვიდრე ნ. ბარათაშვილის პოემაა დაწერილი, იგი მაინც საკითხზე მსჯელობისას ტრადიციულ შეხედულებას ვერ გაცდა და ნ. ბარათაშვილის პოემის სიღრმეებს ბოლომდე ვერ ჩაწვდა.

Annotation

The purpose of the master's work is to illustrate how the image of King Erekle is described in the artistic creations and memoirs of Georgian romanticists, his merit and achievements towards the country. In this regard, the poems, stories and dramas of Grigol Orbeliani, Aleksandre Orbeliani, Vakhtang Orbeliani, Nikoloz Baratashvili and Grigol Rcheulishvili are discussed in this work as far as possible.

In this master's thesis, there is a sort of similarity found in Grigol, Alexander and Vakhtang Orbeliani lyrics and poems, in the point of view that they alive and praise the king Erekle, the great patron, as the unequalled hero, the heroic warrior, the fearless warlord, who became fanmous borth in the East and in the West. But what about the works of Nikoloz Baratashvili, the character of King Erekle is presented differently: the poet describes him not as unequalled warrior and commander, but as a far-sighted politician. He was the great poet who portrayed King Erekle face as worried about the fate of the country, caring for the future existence and for the orientation of the country.

By this way, our writers, remained in the past, were reviving themselves in such a gloomy epoch, healing their damaged dignity by the memories of the past, or were considering that the glory of Iveria was buried along with King Erekle, or were trying to seek for a hope for the future.

Nikoloz Baratashvili stated clearly that the King Erekle not only evaluated rightly the necessity of the connection of Georgia to Russia, but also marked that it was even the way because of the historical necessity. The great poet not only showed the well-considered arguments of the king's correctness at the moment of solving the issue, but also emphasized properly that the king's step was proceeded with the desiered result. In his lyric: "Tomb of the King of Irakli", he presented even this desired results with all possible conditions.

In the end, between the romanticists, the prosaist Grigol Rcheulishvili presented the face of King Erekle in the "Lemons of Widow". As a European type of prosaist, he presented the king in an unusual circumstances, thus gained the serious reproaches.This difference was

unacceptable for the romanticists who were seized of the glory of the past and dissatisfied with the present.

With the influence of Nikoloz Baratashvili, he mentioned the connection issue with Russia, and therefore expressed the thoughts of the king. Even though he wrote the story twenty years later than Baratashvili itself, he could not pass by the traditional point of view during the discussing of issue and couldn't have a deep inside into Baratashvili's poem.

სარჩევი

შესავალი 9

თავი I

ერეკლე მეორე გმირი, სახელოვანი მებრძოლი, სარდალი ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში 11

თავი II

ერეკლე მეორე ბრძენი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში 26

თავი III

მეფე ერეკლე გრიგოლ რჩეულიშვილის მოთხრობის გმირი 33

დასკვნა 37

გამოყენებული ლიტერატურა 39

შესავალი

ჩვენთვის საინტერესოა დიდი მეფის, ერეკლე მეორის, გმირულ-პატრიოტული სახე, რომელსაც განსაკუთრებულად შეეხო XIX საუკუნის მწერლობა-ქართული რომანტიკული ლიტერატურა. ერეკლე მეფის სახე გახდა იმპულსი იმისა, რაც ერის XIX საუკუნის მთელ ისტორიას გამორჩეული ძალისხმევით ავსებდა, ამდიდრებდა ერის სულიერებას, ამკვიდრებდა ერის ამაღლებულ ზნეობრიობას, ამძლავრებდა მამულის, სამშობლო ენის, კულტურისა და სარწმუნოებისადმი უწრფელეს სიყვარულს. ერეკლე მეორეს სახე, როგორც გამოჩენილი მეფისა, სარდლისა და პოლიტიკური მოღვაწისა, ფართო გამოხატულებას პოულობს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში და არა მარტო ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე,ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანებისა, ასევე გრიგოლ რჩეულიშვილის შემოქმედებაშიც. მეცხრამეტე საუკუნემდე თუ მხოლოდ დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე იყვნენ ქების ობიექტები, ახლა მათ უერთდება ერეკლე მეორე. მისი სახე საინტერესო ხდება არამარტო ქართველი რომანტიკოსებისთვის, არამედ საზოგადოდ ქართული მწერლობისათვის.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქნა მეთვრამეტე საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც პოლიტიკურ ასპარესზე გამოდის ჭაბუკი მეფე ერეკლე მეორე.თვით მამის, მეფე თეიმურაზისათვის ძნელია დაიჯეროს თავისი შვილის-ირაკლის ასე ერთბაშად დაკაცება იქამდე, რომ მას უკვე შესწევს ძალა ქადილისა-მოძალადე მტერთან პირისპირ შებმისა. ლეკთაგან შეწუხებული ქვეყანა გახიზნულია და ცდილობს თავის გადარჩენას. ასპარეზზე გამოსულ ჭაბუკ მეფეს სწორედ მათთან უხდება ბრძოლით გამკლავება, რასაც წარმატებით ასრულებს და გახიზნულ მოსახლეობას სახლებში აბრუნებს. პატარა კახი პირდაპირ ერკინება ლეკთა ბელადს ალისკანტს და სიცოცხლეს უსპობს მას. აღნიშნულის გამო წერს მემატიანე ომან ხერხეულიძე: *„ხოლო წელსა ათას შვიდას ოცდა თხუთმეტსა მოვიდნენ ლეკნი და ქისიყი მოარბივეს. მაშინ იყო ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი წლისა 15, რომელმან შემოიყარა სოფლებიდამ ჯარი, ეწია ნეიშნის მინდორში და ძლიერად შემოებნენ ლეკნი. გარნა ესე ყრმა, ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი, მეორედ შევიდა ჯარსა ლეკისასა და პირველად ამან მოკლა კაცი და ამის მხილველთა კახთა ერთპირად*

მიმართეს ყივილით და წინა წარიქციეს ჯარი ლეკისა, დაჰყარეს ტყვენი და საქონელი და მოსწყვიტეს უმრავლესნი და მოვიდა მაღაროს გამარჯვებული, რომლისათვის ფრიად მხიარულ იქმნენ კახნი, იხილეს რა სიმხნე და მამაცობა მემკვიდრისა თვისისა". (ო.ხერხხეულიძე,1989, გვ.40)

მუსულმანური ქვეყნების იერიშებისაგან შეწუხებულმა და შინაომებისაგან გადაღლილმა საქართველომ გამოსავლის ძებნა დაიწყო და ერთმორწმუნე რუსეთისაკენ აიღო ორიენტაცია. ერეკლე მეორე ძლიერი და ჭკვიანი მმართველი იყო, იგი ხედავდა რომ ქვეყანას უკვე არსებობის პრობლემა ჰქონდა და გამოსავლის მოძებნა სასწრაფოდ იყო საჭირო. ეს იყო მიზეზი რუსეთთან ურთიერთობის დაჭერისა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორესთან მიმოწერის დაწყებისა. სწორედ ამ მიმოწერის შედეგი იყო ტოტლებენის მეთაურობით რუსეთის ჯარის შემოსვლა საქართველოში და მათი ერთობლივი გალაშქრება ოსმალ-ლეკთა წინააღმდეგ. ეს იყო ათას რვაას სამოცდაათ წელს. ბრძოლა ასპინძის ომის სახელით არის ცნობილი. ეს იყო ომი, სადაც ერეკლე მეორემ დაამტკიცა ვაჟკაცობა და ქვეყნისადმი ერთგულება. მაშინ როდესაც იმპერატრიცას ბრძანებით რუსეთის ჯარმა უკან დაიხია, ერეკლე არ შედრკა და ბრძოლა განაგრძო. ბრძოლის შეწყვეტა საქართველოს ამოგდებას უდრიდა. მიუხედავად თხოვნისა, ტოტლებენთან არაფერი გამოვიდა. იგი უკან გაბრუნდა, მაგრამ ერეკლე არ შედრკა. მძიმე ბრძოლის შედეგად ქართველებმა საამაყო გამარჯვება მოიპოვეს. ამის შედეგად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები მძიმედ, მაგრამ მაინც გაგრძელდა.

ერეკლე მეორის გარდაცვალებამ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო საქართველო და ქართველი ხალხი. წერილში „ასი წლის წინათ" ილია წერს: *„ 11-ს იანვარს, 1798 წელს, თელავში გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული სახელოვანი მეფე ერეკლე. დასუსტებული საქართველო, რომელსაც მეფე ერეკლეს სიკვდილით „რკინის კარი შეეხსნა", უფრო კარ-ღია შეუქმნა და ადვილი საცილობელი გაუხდა გარს შემორტყმულ მტერს".* (ი.ჭავჭავაძე,1941 :475)

სადიპლომო ნაშრომში მიზნად ვისახავ, ვაჩვენო, თუ რა ადგილი უჭირავს ერეკლე მეფის სახეს ქართველ რომანტიკოსთა გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ორბელიანის, ვახტანგ ორბელიანისა და გრიგოლ

რჩეულიშვილის შემოქმედებაში. როგორია მათ მიერ წარმოსახული დიდი წინაპრის სახე, მიუთითოთ იმ ძირითად ტენდენციებზე, რაც მათ შემოქმედებაში ამ თვალსაზრისით გამოიკვეთა.

თავი I

ერეკლე მეორე გმირი, სახელოვანი მებრძოლი, სარდალი ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში

ქართველ რომანტიკოსებს მძიმე, შუბლშეჭმუხვნილ ეპოქაში მოუწიათ ცხოვრება. მეფის რუსეთმა დაარღვია ყოველგვარი პირობები ორ სახელმწიფოს შორის კავშირის შესახებ, ფაქტობრივად დაიპყრო საქართველო და უზარმაზარი რუსეთის იმპერიის ერთ განაპირა გუბერნიად აქცია. თანდათანობით, ძალდატანებით იწყეს ბაგრატიონთა, მეფისწულებისა და დედოფლების რუსეთში გადასახლება, დამძიმდა სული, შეილახა ქართველი კაცის პატივი და ღირსება. ქართველმა რომანტიკოსებმაც გრიგოლ ორბელიანმა, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებმა ერთგავარად სულის მოსაბრუნებლად მიმართეს გმირი წინაპრის, დიდი მეფის, მეფე ერეკლეს სახელს, აწმყოთი შეძრწუნებულები შეეცადნენ ერეკლეს საგმირო საქმეების, მისი საარაკო გმირობის ამბები ექციათ განსახიერების ძირითად საგნად. ძირითადად ასეთია გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების შემოქმედების ერთი მთავარი მოტივი.

გრიგოლ ორბელიანი თავის დღიურებში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის“ წერს: „*დაფიქრებული მოვედ მცხეთას. დღე იყო მოღრუბლული, ვითარცა გული ჩემი, რომელიცა გამოფხიზლდა, ვიხილე რა შორით მცხეთისა მონაასტერი. ესე არს დიდებულებითი და უწმიდესი ძეგლი ივერიისა და ჩვენთაგანი ვინ არა თაყვანსა ჰსცემს მას კეთილმოწიწებითითა კრძალვითა! ესე არს ნაშთი და მოწამე წარსულისა ივერიისა დიდებისა, შემცველი მეფეთა საფლავთა და მხილველი მრავალთა საუკუნეთა, მრავალთა ივერიასა შინა ცვლილებათა, მის დამხობისა და კვალად აღდგინებისა. - უნებლიეთ გარდმომცვივდნენ თვალთაგან ცრემლნი, ვიხილე რა*

საფლავი მეფისა ირაკლისა, რომელსა თანა არს დამარხულ დიდება და ყოველი კეთილი ივერიისა...გარდმომცვიდნენ ცრემლნი, რომელნიცა იყვნენ ტკბილ გულისა ჩემისათვის; რამეთუ იყვნენ უკანასკნელ ხარკად საქართველოს განმადიდებელისა მიმართ. - მამაცო! დრო, დრო ყოვლისა შემმუსვრელი, ვერა შემუსრავს დიდებულთა საქმეთა შენთა, რომელნიცა აღმოჩნდებიან ვარსკვლავებრ მომავალთა საუკუნეთა შინა, და ესე აწ თითქმის დავიწყებული ყოველთაგან, შეუმკობელი საფლავი შენი იქმნების ყოველთათვის ოდესმე თაყვანსაცემელად“

ჯერ კიდევ შეთქმულების სამზადისში ნოვგოროდში მყოფი გრიგოლ ორბელიანი იარალი შანშიაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში სიყვარულით და ცრემლით იგონებს იმ დროს, როცა მეფე ერეკლე ყაბახზე გმირულ ვაჟკაცურ შეჯიბრს ქართველებისას ,,სიამით უმზერდა შორიდან“, ვისაც სახეზე ამ დროს ,,ეწერა დიდება“, ვაი, რომ იგი არღა არის, ჩვენ კი მხოლოდ ვტირით მის მოგონებაზე, ,,წარსულთა დღეთა, დიდების დღეთა ყოვლი კეთილი თანა წაიღეს“.

დიდ პოეტს ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას, სულ 27 წლისას, ვგრძნობთ, რომ ერთგავრი სკეფსისი დაუფლებია ახლაც, შეთქმულების სამზადისში.

ეს დაეჭვება კიდევ უფრო გაიზრდება და უფრო მძლავრად, პესიმისტურად გამოვლინდება პოემა ,,სადღეგრძელოში“. ეს თვალნათლივ ჩანს თამადის მიერ გმირ წინაპართა სადიდებლად წარმოთქმულ სადღეგრძელოში:

,,აჰა, ივერის ნუგეშ-დიდება,

თვისის დროისა განმშვენებელი,

მამაცთა შორის საკვირველება,

პატარა კახი, მეფე ირაკლი!“

(გრ. ორბწლიანი, 1928 :87).

მეფე ერეკლე მზე იყო ქართველი ხალხისთვის, რომელიც ახლა ჩასვენებულია და ვეღარ ანათებს. მისი ერთი შეხედვაც კი საკმარისი იყო, რომ მტერი გატეხილიყო და ბრძოლაც წამსვე დამთავრდებოდა მეფის გამარჯვებით.

„წარბშეჭმუხვნილნი, ხმალ-ხელ მოწვდენით,

ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა!

ერთის შეხედვით, მტერთა შემუსვრით

ბრძოლა წამსავე გარდასწყდებოდა!

დღენი ამისნი ემსგავსნეს ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს,

მის შუქი თუმცა გვინათებს, მარამ ვეღარ ვმზერთ მის სახეს!

მამული ვეღარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს,

დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს!“

(გრ. ორბელიანი, 1928 :87).

გრიგოლ ორბელიანი თავის შემოქმედებით ცდილობს მეფე ერეკლესთან დაკავშირებული ისტორიული თუ საყოფაცხოვრებო ფაქტები,თქმულებები, გადმოცემები დავიწყებას არ მიეცეს, გააცოცხლოს და ახალი სუნთქვა შესძინოს მას.

ასეთია დასკვნა გრიგოლ ორბელიანისა, მისი აზრით, მეფე ერეკლესთან ერთად დაიმარხა ივერიის დიდებაც. ეს ერთიანი დასკვნაა „დღიურებშიც“ და პოემაშიც რომ იჩენს თავს. ასე უიმედო წავიდა გრიგოლ ორბელიანი ამ ქვეყნიდან, მისი სიკვდილის წინა სტრიქონებიც ასეთი სასოწარკვეთილი იყო:

,,დავბერდი, ბედს ვერ, მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო,

გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით.“

სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ავტორი: მწერალი, მკვლევარი ფიქრობს- გრიგოლ ორბელიანი თავისი გვარის დიდების დამხობას გლოვობდაო, როგორ შეიძლება გამორჩეული პოეტის დიდ მამულიშვილობაში შეეპაროს ეჭვი კაცს.

ალექსანდრე ორბელიანი-„ის იყო ნამდვილი ქართველი კაცი,ბევრის მნახველი,ბევრის გამგონე და ნაღვაწი“,-ასე იგონებს აკაკი წერეთელი ალექსანდრე ორბელიანს. ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედება, მიუხედავად მისი ჟანრობრივი მრავალფეროვნებისა, თემატიკურად თითქმის მხოლოდ ერთ საკითხს-ქართველთა ,,დაცემული ვინაობის“ გარკვევას ეხება. თავდაპირველად უნდა დავასახელოთ პოეტის მიერ სათაყვანებელი პაპისადმი მიძღვნილი ეპიტაფია, რომელიც როგორც თვითონ გვამცნობს, დედისთვის მიურთმევია ათას რვაას ორმოცდახუთი წლის თებერვალში. (ახალი ქართ., 1970: 403). ლექსი ნიკოლოზ ბარათაშვილის ,,საფლავი მეფის ირაკლისას“ შემდეგაა დაწერილი და მეფის სახელის განდიდებას ეძღვნება. მის შემოქმედებაში

გვხვდება ისტორიული დრამა, რომელიც რომანტიკული სულისკვეთებითაა დაწერილი. მისთვის, როგორც რომანტიკოსისთვის, დამახასიათებელია წარსულის ერთგვარი იდეალიზაცია და აწმყოთი უკმაყოფილება. წარსულის სიდიადეს უპირისპირებს იგი აწმყოს უიმედობას და ვერ ხედავს მომავალი ბედნიერების იმედს. მისი ცხოვრების მანძილზე ის მუდმივად ემსახურებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კეთილშობილურ იდეას. იგი ცდილობდა შეევსო ახლად აღმოცენებული ქართული დრამატურგია, მაგრამ ეს ფაქტობრივ ვერ მოახერხა მან, რადგან ხასიათისა და სტილის თვალსაზრისით მისი დრამები საკმაოდ სუსტია. მათ მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ დრამები, სასცენოდ მათ აკლიათ მთავარი-მოქმედება. დიდი როლი ითამაშა ალ. ორბელიანის ცხოვრებაში პაპის, მეფე ერეკლე მეორის სახელმა. პატარა კახის ბრძოლები და საგმირო საქმენი გახდა შთაგონება მისი შემოქმედებისა. ამის მიუხედავად მის ნაწარმოებებს ვერ ჩავთვლით მიკერძოებულად. ისტორიული ფაქტები, თუ კი რამე აქვს გამოყენებული, ყველაფერი სწორად და შელამაზების გარეშე აქვს წარმოდგენილი. მისი წყაროები იყო ერეკლეს თანამედროვეთა მიერ მოთხრობილი ამბები, რომლებიც თავად მათ გადახდათ თავს და ამიტომ მეტად სანდო და დამაჯერებელია. ეს კარგად ჩანს მის მოგონებებში. როგორც ვიცით, იგი საგანგებოდ ზრუნავდა, რომ მხოლოდ სიმართლე აესახა, ყველას მონათხრობს არ ენდობოდა და დიდი მოწიწებით არჩევდა საწერ მასალას.

ალექსანდრე ორბელიანის თხზულებები იდეურ-თემატიკური თვალსაზრისით კავშირშია მისსავე პატრიოტულ პროზასთან. ალ. ორბელიანი მეფეებსა და სახელოვან გმირებს უდიდეს თაყვანს სცემს და ცდილობს ეს სიყვარული მკითხველსაც გადასდოს. დრამას ,,ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა“ წამძღვარებული აქვს ავტორის სიტყვები: *,,ეს ამბავი ბატონიშვილის ირაკლის დროისა იმიტომ ამოვირჩიე მე, რომ იმის ყმაწვილობას მოუხდება ეს ტრაღედია, დროც იმისთანა საშინელი იყო მაშინ საქართველოში, მაგრამ რაც სახელი იმ დროს, იმ საშინელებაში, იმ თხუთმეტი წლისამ შეიძინა, მგონია იმოტოლა ყმაწვილისაგან სხვა მაგალითი არ იყოს არსად ქვეყანაზედ“* (ალ. ორბელიანი,1877: 3). დრამაში ერეკლე მეორის პირველი საბრძოლო და პოლიტიკური ნაბიჯებია აღწერილი. დრამაში გადმოცემულია

ახალგაზრდა მეფის გმირული ისტორიები, ერეკლეს პირველი გამოჩენა ფართო საზოგადოებრივ ასპარესზე, როგორც ქვეყნის მეთაურისა. მეფის დამოკიდებულება ქვეყნისა და ქართველი ერის მიმართ. განადგურებული და გახიზნული ქართველი ხალხის გადარჩენისა და სახლებში დაბრუნების ჩვენება. თეიმურაზ მეფის ძის როლის წარმოჩენა იმდროინდელი მოვლენების კეთილად დასრულებაში. მწერალს სურს წარმოგვიჩინოს ყმაწვილი მეფის დიდი გავლენა და ხალხის სიყვარული. როგორი დიდი იმედი და ძალაა მეფე გაჭირვებაში მყოფი ერისა და საზოგადოებისათვის. ასევე გვიჩვენებს ქართველი მოლაშქრეებისა და მეფის დამოკიდებულებას ერთმანეთთან მიმართებაში. როგორ გავლენას ახდენს მეფე ქართველ მებრძოლებზე და მისი მოწოდებები რამდენად უმაღლებს ბრძოლის განწყობას და შემართებას ქართველ გმირებს. მიუხედავად მათი სიმცირისა როგორი გულადები არიან, რადგან საყვარელი მეფე გვერდში უდგათ. აქვე საუბარია იმ ეპოქის მოვლენებზე და ერეკლეს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. მან ნათლად წარმოგვიჩინა მეფის როლი ქართველი ერის ცხოვრებაში. როგორ მოხდა ლეკთა თარეშისაგან ქვეყნის გათავისუფლება და გახიზნული ხალხის სახლებში დაბრუნება. წინასიტყვაობაში ავტორი წერს, რომ ქართველ ერს მხოლოდ ერეკლეს იმედიღა ჰქონდა დარჩენილი და დრამის დანარჩენ ნაწილში სწორედ ამ იმედის გამართლებაზეა საუბარი. პატარა კახის საბრძოლო და საგმირო საქმეების ჩვენებით მწერალი გვიხატავს, თუ როგორ აასრულა ქართველების იმედი მეფის ძემ, ბატონიშვილმა.

თავდაპირველად ჩანს თუ, როგორ იწყებს მოქმედებას ერეკლე მეორე ქვეყნის საკეთილდღეოდ. მამის მოწოდების შემდეგ იგი საბრძოლველად ემზადება. დედა-დედოფალი, ვახტანგ VI-ის ასული, ეთხოვება შვილს და აქ მისი პატრიოტიზმიც კარგად ჩანს. დედას ურჩევნია შვილმა მამულს შესწიროს თავი, გმირულად იცხოვროს და თავიც გაწიროს, ვიდრე ქვეყანა ასეთ მდგომარეობაში იყოს. ქვეყნის გადარჩენა მთიდან იწყება და ბარში გრძელდება. თავდაპირველად მთაში იწყება ბრძოლები ქვეყნის გასათავისუფლებლად და დიდი წარმატებით სრულდება კიდეც. შემდეგი რიგში ბარი დგება.

მეორე მოქმედებაში ბრძოლის ველი ბარში ინაცვლებს, მოქმედება ალავერდის ტაძრის მიდამოებში გრძელდება. ერეკლე ქართველებს მოუწოდებს: *,,ძმებო, ქართველებო! მოდით, დაიჩოქეთ და შიშველს ხმლების წვერებზედ შუბლი დავაყრდნოთ“* (ალ. ორბელიანი,1877 :35). აქ უკვე ერეკლე მეფის მოწოდებით გამოფხიზლებული და გულანთებული მამულიშვილების ჯარი იკრიბება. მათ არაფრის არ ეშინიათ რადგან მამულისათვის იბრძვიან და თან გვერდით ჰყავთ საყვარელი ბატონიშვილი, სრულიად ჭაბუკი ერეკლე: *,,ძეო მეფისაო ერეკლე! გვიხარის შენი მოსვლა, შენი ნახვა, ვმადლობთ ღმერთსა! “(* ალ. ორბელიანი,1877 :58). მებრძოლნი ყველაფრისთვის მზად არიან ერეკლეს გვერდით. უხარიათ ასეთი წინამძღოლის გამოჩენა ქვეყნის სათავეში და ბოლომდე მისდევენ მას.

მესამე-მეოთხე მოქმედებებში ჩანს უშუალოდ ერეკლეს ბრძოლები ქვეყნის გასათავისუფლებლად. ქართველთა დიდი გამარჯვება ქიზიყში დაბანაკებულ მტერზე, თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს განთავისუფლება. ტექსტიდან ვტყობულობთ, რომ ერეკლეს და მის ჯარს რამდენიმე დღეში ას ოცდაათზე მეტი ბრძოლის გადახდა მოუწიათ, რაც არც ისე მარტივი იყო, მაგრამ ყველგან გმირული გამარჯვება მოიპოვეს.

როგრც ითქვა, ავტორის მიზანი არ ყოფილა დრამის სცენაზე ატანა, ამას თავად მწერალიც აღნიშნავს წინასიტყვაობაში. მისი დაწერის მიზანი ქართველი ერის თავდადებისა და ჭაბუკი ერეკლეს სახის დახატვაა. მწერალს სურს ის სიყვარული, რაც მას გააჩნია ერეკლესა და იმდროინდელი ქართველი გმირების მიმართ, ხალხს გადასდოს. მისთვის მთავარია დაგვიხატოს ქართველი ვაჟკაცების გმირული თავდადება სამშობლოსათვის და ერეკლეს გვერდში დგომის ფასი გვიჩვენოს.

აქვე უსათუოდ ისიც უნდა ითქვას, რომ აკაკი წერეთელმა თავის ცნობილ დრამას ,,პატარა კახს“ ლიტერატურულ საფუძვლად, წყაროდ სწორედ ალ. ორბელიანის დრამა დაუდო. აკაკი საზოგადოდ უდიდეს პატივს სცემდა ალექსანდრე ორბელიანს. ეს თვალნათლივ ჩანს აკაკის ბრწყინვალე პროზაულ ქმნილებაში ,,ჩემი თავგადასავალი“ (ა.წერეთელი,2012:69).

ალექსანდრე ორბელიანის თხზულება ,,ასპინძის ომი“ პატრიოტიზმის მოტივით არის შთაგონებული. იგი არის ნარკვევის ჟანრის თხზულება, რომელშიც გადმოცემულია კონკრეტული ისტორიული ფაქტი ქართველთა ცხოვრებიდან. კერძოდ, ერეკლე მეორის მეთაურობით წარმართული ასპინძის ომი თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ. მწერალი შეუდარებლად აცოცხლებს ერეკლე მეფის საარაკო გამარჯვებას. ამ ნაწარმოების გამოქვეყნებას დადებითად შეხვდა მკითხველი საზოგადოება და ეს სულაც არ არის შემთხვევითი. ცნობილი საზოგადო მოღვაწე კირილე ლორთქიფანიძე ,,ასპინძის ომის“ წაკითხვის შემდეგ თავის ერთ მეგობარს სწერდა: *,,ძალიან მომეწონა ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის სტატია ,,ასპინძის ომიზედ“. უდრტვინველად ვერ წაიკითხავს კაცი ამ სტატიას.“* (ვიმოწმებ წიგნიდან აპ. მახარაძე,1990 :127-128). ერეკლე მეორე იმ დროისთვის დაზავებას ცდილობდა ოსმალებთან, მაგრამ საბოლოოდ მათ წინააღმდეგ გალაშქრება მოუწია. ბრძოლის დაწყებიდან მალევე, მესამე დღეს, რუსთა ჯარი აიყარა და უკან გაბრუნდა. ამ მომენტიდან პოეტის მიზანია მკითხველს უჩვენოს ის საგმირო საქმეები რაც ქართველებს გადახდათ. მიუხედავად მათი მცირერიცხოვნობისა, ერეკლე მეორეს არ დაუკარგავს გამარჯვების იმედი. მისი მოწოდებებიდან კარგად ჩანს როგორი ძლიერი მხედართმთავარი და გამჭრიახი მეთაური იყო. ერეკლე მიმართავს თავის ჯარს: *„-გალუვანნო მხნენო ქართველებო, ჩემო განუყრელნო ყოველს საშინელებაში, ჩემო გულის ძმებო! ეს ამისთანა გაჭირვებული ომი ჩვენ თავზედ პირველი არ არის. კარგად გაარჩიეთ, დაინახეთ, რა სიკვდილის ლხინი არის დღეს! ვიომოთ სიკვდილამდის, რომ ჩვენი ზურგი მტერმა არ დაინახოს: ეს ჯაბანთა წესი არის. თქვენ წინ გადაწყვეტით აღვიარებ, რომ დღეს უნდა გამოვესალმნეთ ჩვენს თავს, აქ უნდა გავსწყდეთ. ჩვენს ცოლშვილში სირცხვილია დამარცხებით მისვლა, მერე რა პირს დაგვინახვენ ის ჩვენი კარგი დედაკაცნი? - შავსა დამარცხებულ პირსა, თან გვეტყვიან: ჯაბნებო, წადით დაიკარგენით ჩვენგნითაო...აბა ჩემო გულის ძმებო, მინამ იმათ წინ ამ სირცხვილით წარვდგებოდეთ, გვიჯობს, ჩვენს წმიდას სიკვდილზე თმები ვაწეწინოთ იმათ, ჩვენს დაქცეულს სისხლზედა, ჩვენის მამულისათვის. გავწყდეთ, ქართველებო. მე აქ თქვენში ვიმყოფები ერეკლე! -გავწყდეთ, გავწყდეთ ერთიანად. დედა შეერთოს ცოლათ, თუ არ გავიმარჯვეთ, ვინც აქედგან უსიკვდილოდ გავიდეს.“* მისი მაგალითი ქართულ ჯარს

აღაფრთოვანებდა, უთანასწორო ბრძოლაში ერეკლეს მეთაურობით გაიმარჯვა ქართულმა ჯარმა. სწორედ ერეკლეს სულიერმა სიმტკიცემ და გაუტეხლობამ განსაზღვრა დიდწილად ბრძოლის ბედი. მისი შეუპოვრობა გახდა მაგალითი ქართველებისათვის და ისინიც თავდაუზოგავად ედგნენ გვერდით საყვარელ მეფეს. ბრძოლის ველიდან კარგად ჩანს ერეკლესა და ბატონიშვილი გიორგის სახეები. რამდენადაც ძლიერი და გონებამახვილია ერეკლე, იმდენად მოუქნელი და მძიმე ჩანს გიორგი, როგორც მომავალი მეფე და პატრონი ქართველი ერისა. ეს განსხვავება აშკარაა ნაწარმოებიდან.

თბილისის მოსახლეობის მძიმე ადამიანური განცდებიდან ჩანს თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ მეფისადმი. მაშინ როდესაც საყვარელი მეფის დაღუპვის ამბავი შეიტყეს, ყველა ერთხმად აქვითინდა და ეკლესიის ეზოში მოიყარა თავი. თავად დარეჯან დედოფლის საქციელი, ფეხშიშველი სიონის ეკლესიამდე მისვლა, კიდევ ერთი ასად ამაღლებს მეფის სახეს მკითხველთა შორის. დედოფლისა და მეფის შეხვედრიდან კარგად ჩანს, როგორი დიდი სიყვარული აკავშირებთ. მეფის საქციელი, ის რომ პირველ რიგში ხატებთან მიდის და შემდეგ მეუღლესთან, ხაზს უსვამს მის დამოკიდებულებას სარწმუნოებისადმი. ასევე მისი დაუყონებლივ ჩამოსვლა ქალაქში მიუთითებს იმაზე, თუ როგორ ფიქრობს და ზრუნავს ქვეყნის ბედზე. მიუხედავად მძიმე მომქანცველი ომისა დასვენებაზე არც კი უფიქრია, იმის შეტყობინება ქართველებისათვის, რომ რუსეთის ჯარი უკან გამობრუნდა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდა მათ. ამიტომ არ დაუზოგავს თავი მეფეს და კიდევ ერთხელ იხსნა ქვეყანა ახალი მოსალოდნელი ბრძოლებისაგან, რომლებიც ამ ამბის შემდეგ ემუქრებოდა ლეკთა თუ სხვა დამპყრობლებისაგან. ასპინძის ველზე საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი კიდევ ერთხელ ქართველთა გამარჯვებით დასრულდა.

ალექსანდრე ორბელიანის „მოგონება“ ნათლად გვიჩვენებს ერეკლე მეორის სახეს მეფის, რომელიც გასაჭირში იმყოფება მცირერიცხოვანი ჯარით და მაინც თავდაუზოგავად და უკან დახევის ყოველგვარი შესაძლებლობის გარეშე ებრძვის მტერს. მიუხედავად მძიმე საშინაო მდგომარეობისა, ქვეყნის შიგნით არსებული მტრები ყველა ღონეს ხმარობდნენ რათა ბრძოლაში რაც შეიძლება მცირე კაცით დარჩენილიყო მეფე, მაგრამ იგი მაინც მედგრად ებრძოდა მტერს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ქართველი

მეომრების გვერდით. აღა მაჰმად ხანის მუქარებსა და დაშინებას არ შეუდრკა და მის წინააღმდეგ გაილაშქრა. ამ დროს ქვეყნის შიგნით არსებული მისი მტრები ყველანაირად ცდილობდნენ ხელის შეშლას. დადიოდნენ და მოსახლეობას ბრძოლის მაგივრად აყრასა და დამალვას ურჩევდნენ. ალექსანდრე ორბელიანი წერს როგორი გულისტკივილით იხსენებდა მამამისი, თავადი ვახტანგ ორბელიანი, ამ ბრძოლაში დამალვას და ზაალ ანდრონიკაშვილის სიტყვის შესრულებას. მაშინ მისი სიტყვა კანონი ეგონათ და არც უფიქრიათ გადამოწმება.

ასევე პატრიოტიზმის მოტივზეა შექმნილი ,,კეთილი ბერიკაცი". თხზულება ოთხი ნაწილისაგან შედგება და აქაც გადმოცემულია ერეკლე მეორის პერიოდის საგმიროს საქმეები სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ ნაწარმოების მიზანიც იგივეა, აჩვენოს ძველი ქართველების თავგანწირვა და თავდადება სამშობლოს საკეთილდღეოდ და ეს ყოველივე ერეკლე მეფის გვერდში დგომის ფასად წარმოგვიჩინოს. მისთვის მნიშვნელოვანია ქართველმა ხალხმა გაიგოს რამხელა ძალა აქვს ერთ მუშტად შეკრულ ხალხსა და მეფეს.

ვახტანგ ორბელიანის მთელი პოეტური შემოქმედება არის ერთი უწყვეტი გლოვა-ტირილი საქართველოს ძველ დიდებაზე; ამიტომაც თავად ილია ჭავჭავაძე ვახტანგ ორბელიანს ჩვენში რომანტიკული სულისკვეთების გამომხატველად მიიჩნევდა. მისი პოეზია გონების პრიზმაშია გატარებული, დაკვირვებული და განსჯილი. მისი ლექსების არცერთი სტრიქონი არ არის დაწერილი გააზრების გარეშე. ვ. ორბელიანის პოეზია სხვა თემებითაც ხასიათდება, მაგრამ მათში უმთავრესი მაინც ძველი ივერიის დიდებაა. ილია ჭავჭავაძე ამბობდა: *,,უმთავრესი ძარღვი ვახტანგ ორბელიანის პოეზიისა ერთი გულსაკდომი, მაგრამ გულწრფელი გოდებაა წარსულისათვის,თითო სიტყვა მის უკეთეს ლექსებისა თითო ცალკე მარგალიტია ცრემლისა, ღრმად ნატკენ გულისაგან წარმოდინებული. იგი დასტირის იმ წარსულის დამხობილ დიდებას"* (ილია ჭავჭავაძე,1953 :240). პოეტმა თავისი პოეტური ძალღონე თითქმის მთლიანად ამ საგანს შეალია და ქვეყნისა და სამშობლოს სიყვარულის გრძნობა შთამომავლობას გადასცა. მისთვის ყველაზე ახლოს დგას პაპის-ერეკლე მეორის მეფობის პერიოდი. მის ლექსებში საკმაოდ მძაფრად და მკაფიოდაა გამოხატული ერეკლეს სახე. სახე მეფისა, რომელიც არის

შეუდრეკელი, დაუდგრომელი და დაუძლეველი სამშობლოს სიყვარულში. მის ეპოქას პოეტი უწოდებს სამშობლოს დასაცავად განუწყვეტელ ბრძოლის ხანას:

,,გრძელი სიცოცხლე ირაკლისა არს ბრძოლა გრძელი,

მოსათხრობელად, საამბობლად, სათქმელად ძნელი.“

(ქართ.,1978 :40)

ვახტანგ ორბელიანის შესახებ ილია წერდა: *„წარსული უყვარს იმიტომ, რომ დიდ არიან საქმენი წარსულისა, იმიტომ, რომ იქ ბრწყინავენ დიდნი გმირნი, დიდნი მამულის-შვილნი, დიდი ანდერძებით და სურვილებით გულატკიებულნი, უყვარს იმიტომ, რომ იქ მარხია მისი სახელოვანი და დიდებული პაპა მეფე ერეკლე და მასთან დიდებაც.“*(ი.ჭავქავაძე,1953,239). ვახტანგ ორბელიანის პოეზიის ძირითადი საგანი საქართველოს წარსულია. შორეული ისტორიული წარსულის გარდა,პოეტი საგანგებოდ ერეკლე მეორის მეფობის პერიოდზე გვიამბობს. განსაკუთრებით იტაცებს მისი გმირული შემართება და სტრატეგია. მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელია საქართველოს დიდებული წარსულის იდეალიზაცია და დაკნინებული აწმყოთი უკმაყოფილება. ის ვერ ხედავს ბედნიერ მომავალს და უკან, წარსულისაკენ იყურება. საქართველოს ისტორიული წარსული ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში გარკვეული თვალსაზრისითაა განხილული და შეფასებული. მისი პესიმიზმი გასდევს მთლიან შემოქმედებას, რომელიც ბავშობისდროინდელი მოგონებებიდან მოდის, მიუხედავად აქა-იქ გაბნეული ოპტიმისტური სტრიქონებისა. მის აღზრდაში დიდი როლი მიუძღვის დედას, ერეკლე მეფის უსაყვარლეს ქალიშვილს, თეკლეს. სწორედ აქიდან მოდის საქართველოსა და ერეკლე მეფის, პაპის, უდიდესი სიყავრული. პოეტი საზრდოობს დედის,თეკლე ბატონიშვილის მონათხრობით,რომელიც თვითმხილველი იყო იმ ტრაგედიისა, რაც რუსეთთან საქართველოს შეერთების ფაქტს მოჰყვა. ამას ამბობს ილია ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიაში: *„საკვირველი არ არის ამის შემდეგ, რომ ჩვენი პოეტი თ. ვახტანგ ორბელიანი ასეთი გულწრფელი ტრფიალია თავის სამშობლო ქვეყნისა, ასე გულმწუხარე მგოდებელია აწმყოზე. ყოველი ამისი სათავე უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ თ. ვახტანგი იმისთანა ოჯახში გაიზარდა, საცა ბრძანებლობდა საყვარელი ასული მეფის ერეკლესა, იმ დიდებულ მეფისა, რომლის შუქი დღესაც კი გვინათებს, და მაშინ*

უფრო ხომ ცხოველ იქნებოდა, ნამეტნავად მის საყვარელ და ჭკვიან ასულისათვის. ამისთანა დედა,როგოიც იყო თეკლე ბატონიშვილი, რა თქმა უნდა, ბევრს რასმე სანაღვლელს და სანატრელს სახელოვანის წარსულისა ჩააგონებდა თავის შვილს და გაუთბობდა გულს სამშობლო ქვეყნის სიყვარულითა და წარსულის ღრმა პატივისცემითა.“ (ი.ჭავჭავაძე. 1953. 236)

„სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება ,

რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება;

რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩს მომითხრობდა.

ის ჟამი იყო, საქართველოს სული ხდებოდა“

(ქართ.,1978 :37).

„აშკარაა, ჭკვიანი დედის მოთხრობებმა გამოუნასკვეს ჩვენს მგოსანს იგი სიყვარული სამშობლოსი, იგი სიყვარული და ნაღველი წარსულთა დროთა მიმართ, რომელიც დედა-ძარღვად შეექმნა თავ. ვახტანგ ორბელიანის პოეზიას და ბოლოს ასე უხვად გაიშალა და გაიფურჩქნა მის ლექსებში. ამ სიყრმიდამ ჩანერგულ სიყვარულით შევიდა იგი ცხოვრებაში იმ დროს, როცა უკეთესს ნაწილს მაშინდელ საზოგადოებისას, მაშინდელ ყმაწვილ-კაცობას, უკვე განცხოველებული ჰქონდა იგივე სიყვარული, და როცა აქედამ წამომდგარი ნაღვლიანი ფიქრი და გულმტკივნეული ზრუნვა ქვეყნისათვის უკვე დაძრულიყო“.

მეფე ცდილობს შეინარჩუნოს სამშობლო, მიწა-მამული, სარწმუნოება და ტახტი. მეფის თავგანწირვას განსაკუთრებული სიცხადით გადმოგვცემს პოეტი შემდეგ სტრიქონში:

„აჰა, ირაკლი, გმირთა გმირი, კახი პატარა:

ურწმუნოთ მამულს არ მივცემო, არა და არა!

იბრძვის მთა-ბარში წინ და უკან, იბრძვის ზედ მტკვარზედ,

იბრძვის ოთხკუთხივ, გარეთ და შინ, ზედ თავის კარზედ:

ებრძვის ქრისტეს მტერთ, დღე და ღამე არ ხუჭავს თვალსა;

საფლავს დიდებულს არ ჩაიტანს სამშობლოს ვალსა!“

(ქართ.,1978:37)

ლექსი ,,იმედი“ ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში ერთადერთი გამონაკლისია, რომელშიც მომავლის იმედზეა საუბარი. ეს არის მისი ,,პირველი და საუკეთესო“ ლექსი, როგორც მას კიტა აბაშიძე უწოდებდა.(კ. აბაშიძე, 1970 :180-182). ლექსი მთლიანად ერეკლე მეორეზე არ არის დაწერილი მაგრამ, მასში საკმაოდ ვრცლადაა დახასიათებული მეფე და მისი ბრძოლები. მეფის თავდადება და თავგანწირვა ქვეყნისათვის. ასევე ის დიდებული გმირები, რომელთა მსგავსსაც თანამედროვეობაში ვეღარ ხედავს პოეტი და ეს არის კიდევ ერთი მიზეზი აწმყოთი უკმაყოფილებისა და სასოწარკვეთისა.როგორც მიუთითებენეს ვრცელი ლექსი ერთადერთი ოპტიმისტური ნიმუშიაო მწერლის შემოქმედებაში, მაგრამ თუ კარგად გავიაზრებთ და დავაკვირდებით მის შინაარს, სულაც არ არის ეს ლექსი ოპტიმისტური. იმედი, რომელზეც საუბარია არის საქართველოს წარსულის სიდიადის შემორჩენა გულში. ეს სიტყვები მისთვის დამამშვიდებელი,მანუგეშებელია და არა დამარწმუნებელი.

„გწამდესო ღვაწლი მამა-პაპათ არ განჰქრებიან,

თვენი სამშობლო დანგრეული, კვლავ აღყვავდება“.

(ქართ.,1992:484)

მწერალი ცდილობს თანამედროვეობაში აღიზარდოს ისეთი გმირები, როგორიც მისი პაპა იყო. მისი ერთადერთი მიზანია აწმყოში სანერგოს არა შიში და ძრწოლა, არამედ იმის რწმენა, რომ მამულს სჭირდება სწორედ ისეთი შვილები, როგორიც იყო თავად ერეკლე, პატარა კახი: შეუპოვარი, მამულის ერთგული ყმა, მტრის შემმუსვრელი, წინაპართა სახელოვანი მემკვიდრე. მააგრამ ეს იმედი აღარ იარსებებს მომავალში, რადგან მეფე ერეკლე მეორის ეპოქა, რომანტიკოს მწერალს, ძველი საქართველოს დასასრულად მიაჩნია. აქ პოეტი ფვართოდ ეხება ერეკლე მეორის მიერ გადახდილ ომებს. მისთვის განსაკუთრებულია ასპინძისა და კრწანისის ველებზე გამართული პატარა კახის გმირული ბრძოლები.

ვახტანგ ორბელიანს ლექსში ,,ირაკლი და კოხტა ბელადი“ აღწერილი აქვს ჭაღარა მეფის პორტრეტი, რომელიც კვლავ მზადაა სამშობლოსათვის ხმალამოღებულმა იბრძოლოს ბოლო ამოსუნთქვამდე. ლექსში ისეთი დამახასიათებელი შტრიხები გვხვდება როგორიცაა:

,,თვალი გამჭვრეტი,ვით არწივისა";

,,მოსული მკერდი,ბეჭი გმირისა"

(ქართ.,1978:116).

მისი თვალით დანახული ერეკლე მეორე ძლიერია, გამჭრიახი, გმირი და ერთადერთი ადამიანი რომელსაც ჯარი უსმენს. ლექსიდან კარგად ჩანს დამოკიდებულება მეფისა და მისი ლაშქრისა. ასევე უდიდესი ექსპრესიითა და ლაკონიურად ხატავს პოეტი ასპინძის ომში ერეკლე მეფისა და კოხტა ბელადის ორთაბრძოლის ეპიზოდს. მიუხედავად მისი სიმოკლისა ძალზედ დიდი შინაარსის მატარებელია შემდეგი სიტყვები:

,,ორი კამარა

რაშმა იკმარა:

შაისევანი ეძგერა კოხტას...

ირაკლის მჭრელმა

იელვა ხმალმა...

კოხტა ბელადი გაერთხო მიწას!"

(ქართ.,1978 :118).

ერეკლეს მიერ ბელადის მოკვლამ განაპირობა სწორედ ბრძოლის საბოლოო ბედი. მეფის გმირობით გამხნევებულმა ჯარმა იშიშვლა ხმალი და მტერს ეძგერა. უმეთაუროდ დარჩენილი ჯარი გაიფანტა,ერთობა დაირღვა, ბრძოლის გაგრძელების უნარი დაკარგა, უკან გაბრუნდა და ქართველებს გამარჯვება დაუთმო.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ უპრეტენზიო პოეტი უკმარობის გრძნობას განიცდის ერეკლეს საარაკო გმირობისა და სიმამაცის აღწერისას. მას მიაჩნია, რომ არ ძალუძს მხატვრულად სრულფასოვნად გააცოცხლოს დიდი პაპის გმირობა:

,,სად არის მუზა, რომ გულს არ შთამბერს

ლექსსა მგრგვინავსა, ლექსსა მდიდარსა,

რომ ვით ის ბრძოლა, ისე გრგვინავდეს

რომ კახსა გული, ქველობით სრული

იმის კითხვაზედ თრთოლით უძგერდეს."

(ქართ.,1978:39)

კიდევ ერთი ლექსი, რომელშიც საუბარი ერეკლე მეფის ეპოქასა და მის ძლევამოსილ საქმეებზეა, არის ,,ირაკლი და იმისი დრო". ლექსი მოგვითხრობს ერეკლე მეორისდროინდელ ეპოქაზე. საქართველოს მტრებზე და მათ წინააღმდეგ ამხედრებული მეფის საგმირო საქმეებზე. ახსენებს თითქმის ყველა ძირითად ბრძოლას, რომელიც გადაიხადა ერეკლე მეორემ. პოეტი წუხს საქართველოს ბედზე. აკრიტიკებს ევროპის ქვეყნებს იმის გამო,რომ არ ეხმარებიან ქრისტიანულ ქვეყანას. იგი ასევე ხედავს რომ მეფეს ღირსეული გამგრძელებელი არ ჰყავს და მისი სიკვდილის შემდეგ მძიმე ხვედრი ელის სამშობლოს. პოეტი ერეკლე მეორეს უწოდებს ციდან მოვლენილს, რომელმაც უნდა დაიცვას და გადაარჩინოს საქართველო. ბრძოლისგან დაღლილ ქვეყანას სიმშვიდე უნდა მოუპოვოს. მისი იმედი აქვს ქვეყანას და მასზეა დამოკიდებული მისი ბედი. აღწერილია ურჯულო მტრის შემოსევა სხვადასხვა მხრიდან. საქრისტიანოს ქვეყნებისადმი გულისწყრომა გამოსჭვივის ლექსიდან. წუხს მათგან დახმარების ხელის გამოუწვდელობის გამო, მაშინ როდესაც ერეკლეს ჰპირდებოდნენ დახმარებას და ხედავდნენ რა მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი მეფე თავისი ქვეეყნით. პოეტი ბრალს დებს ევროპის ქვეყნებს, რომლებმაც უსულგულობა გამოამჟღავნეს საქართველოს მიმართ:

,,და დასავლეთის ქრისტეს ერნო, თქვენ რას შვრებოდით,

როცა ქრისტესთვის თქვენ თვალ-წინა თქვენს კარს ვწყდებოდით?

თქვენ ირაკლისა ღიმილითა თავსა უკრავდით,

რჩევას აძლევდით და ქებისა ტაშსა უკრავდით!"

(ქართ., 1978 :40).

ვახტანგ ორბელიანს იმედი აქვს რომ ასეთი საქციელის გამო მიეზღვებათ სამაგიერო ადრე თუ გვიან მათ,ვინც დახმარების ხელი არ გაუწოდა საქართველოს. ისტორია არ მისცემს ხალხს ამის დავიწყების უფლებას და ქართველი მართმადიდებელი ხალხის სისხლი მათ კისერზე იქნება. დადგება დრო და ამოისუნთქავს საქართველო. დადგება დრო და სამაგიერო ყველას მიეზღვება. მწერლის აზრით:

,,არ დაიდუმებს ისტორია, ნუ გაქვსთ იმედი!

მართლმადიდებელთ წმიდა სისხლი კისერს გედებათ,

მაგრამ მოგკითხვენ, მაგიერი როსმე გეგებათ!..."

(ქართ.,1978 :41).

მწერალი გულისტკივილით გამოთქვამს საყვედურს, რომ არსაიდან არ ჩანს დახმარება. ვ. ორბელიანს იმედი აქვს რომ ერეკლე სანამ ცოცხალია:

არ მისცემს მტერსა

მონად თვის ერსა.“

(ქართ., 1978 :109).

ვახტანგ ორბელიანი ამ ლექსითაც ამართლებს ერეკლე მეორის გადაწყვეტილებას რუსეთთან დაკავშირების შესახებ. მისი დაკვირვებული და გამჭრიახი გონება ხვდება გარდაუვლობას ამისას. მეფის სიკვდილის შემდეგ ქვეყნის ხსნის ერთადერთი გზა რუსეთთან შეკავშირებაა, რადგან მას არ ჰყავს ღირსეული მემკვიდრე ტახტისა, რომელიც მასსავით ხმალამოღებული იბრძოლებს ქვეყნისა და ხალხისათვის. მეფეს პოეტი თავად ათქმევინებს სიტყვებს სადაც იგი ხსნის მიზეზებს რუსეთთან შეერთებისას. ამის დასტურია შემდეგი სიტყვები ლექსიდან:

,,არვინ მყავს არა!

და ჩრდილოით აჩვენა თითით.

ბრძანა: ,,ვიბრძოლებ,

მანამ ვიცოცხლებ;

აღარ ვიქნები,-მას ერს შეერთდით!“

(ქართ., 1978 :110)

თავი II

ერეკლე მეორე ბრძენი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში, ისე როგორც ქართული რომანტიზმის მთელს ისტორიაში, წინაპრის კულტს გამორჩეული ადგილი უკავია.ისტორიული

წარსულის თემამ განსაკუთრებული ასახვა ჰპოვა თვით ბარათაშვილის თხზულებებშიც. აქ ყველაზე უფრო დიდი მეფის- ერეკლე მეორის პოეტისული ხატია წარმოჩენილი. ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო ის დიდი პოეტი, რომელიც თავისი განმსჯელი, მაძიებელი სულის შესაფერისად სხვაგვარი ინტერესებით მივიდა დიდი წინაპრის სახელთან, სხვაგვარად გააცოცხლა მეფის სახე. მის პოეზიაში წინა პლანზე მოდის არა ,,მამაცთა შორის საკვირველება", საარაკო მებრძოლი, გმირი, არამედ როგორც ღრმა მოაზროვნე, სამშობლოს ბედზე დაფიქრებული შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი. სწორედ ამ თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი პოემა ,,ბედი ქართლისა" და ლექსი ,,საფლავი მეფის ირაკლისა".

პოემაში ნ. ბარათაშვილმა განიხილა თავისი დროისათვის და არა მარტო თავისი დროისათვის მეტად აქტუალური საკითხი - საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. თავის დროზე ვ. კოტეტიშვილი წერდა: *,,ჩვენ ორმუზდის ვაშლივით ძველიდან დღემდე მხოლოდ საცილობელ საგნად გავმხდარვართ, სხვისთვის შურისა და მტრობის მიზეზი, მსხვერპლადვე ვეწირებოდით მათ თავხედ მადას" [ვ.კოტეტიშვილი, 2016: 15-16].* ბუნებრივია, ნ. ბარათაშვილის პოეზიის მნიშვნელობა არ მდგომარეობს საკითხის დაყენებაში. იგი ბარათაშვილამდეც აღელვებდათ და ბარათაშვილის შემდეგაც. ამ შემთხვევაში ისაა მნიშვნელოვანი, რომ გენიალურმა პოეტმა, მოფიქრებული, დასაბუთებული პასუხი გასცა მას.

მეფის შორსმჭვრეტელი გონება რეალისტურად აფასებდა შექმნილ მდგომარეობას და ალბათ, ამიტომ ვერ გადააფიქრებინეს ტრაქტატის დადება ვერც ქვეყნის შიგნით მოწინააღმდეგე ძალებმა და ვერც შაჰისა და სულთნის გაძლიერებულმა მუქარებმა. ათას შვიდას ოთხმოცდასამი წლის ოცდაოთხ ივლისს ქალაქ გეორგიევსკში რუსეთისა და

საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ტრაქტატს, რომლის თანახმადაც ორივე ქვეყანას გარკვეული ვალდებულებები ეკისრებოდა. დახმარების სანაცვლოდ ორივე ქვეყანამ იკისრა გარკვეული უფლება-მოვალეობები, რომელთა შესრულებაც საბოლოოდ არ მოხერხდა. რუსეთი თავს არიდებდა საკუთარი მოვალეობის შესრულებას, მისი მიზანი იყო, რაც შეიძლებოდა დასუსტებულიყო საქართველო, რომ რუსეთს იგი იოლ ნადავლად ჩაეგდო ხელთ. სამაგიეროდ საქართველოს მიუთითებდა საკუთარ ვალდებულებებზე. ხელშეკრულების თანახმად ერეკლე მეფე საკუთარ უფლებებს ზღუდავდა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ეს იყო ,,მეგობრობის პირობა". ტრაქტატით გაბრაზებული აღა მაჰმად ხანი შემოესია თბილისს ათას შვიდას ოთხმოცდათხუთმეტ წელს კრწანისის ველზე,სადაც მძიმე ბრძოლა გაიმართა. პირველი ბრძოლა ერეკლეს გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ შემდგომ მოღალატეთა გამო საბოლოოდ მწარე მარცხი განიცადა ქართველმა ერმა, სპარსელები შემოიჭრნენ და თბილისი მიწასთან გაასწორეს.

ტრაქტატის დადებამ განსხვავებული შეხედულებები წარმოშვა შემდგომ ეპოქაში. პოემაში განსხვავებული შეხედულებების ერთგვარი შეჯამება და ერთი გზის არჩევის დადასტურებაა ლექსი ,,საფლავი მეფის ირაკლისა". ლექსიდან ცნობილი ხდება რომ პოეტი დადებითად აფასებს საქართველო-რუსეთთან შეერთებას და ამ ფაქტის დადებით შედეგებზე გვესაუბრება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოზიციასთან დაკავშირებით მკვლევართა შორის არაა ერთსულოვნება სადღეისოდაც კი: ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ პოეტის მიერ პოემაში გამოხატული ერეკლე მეფის პოზიცია თან ემთხვევა პოეტის პოზიციას, ოღონდ მკვლევართა ერთი ნაწილი ამ აზრის სისწორეს საკუთრივ პოემაში დარჩენით ვერ ახერხებს და იშველიებს ლექსს ,,საფლავი მეფის ირაკლისა", რაც, ბუნებრივია, მიუღებელია; საქმე ისაა, რომ პოემასა და ლექსს შორის დიდი დროითი მანძილია. შესაძლოა პოეტს ამ ხნის მანძილზე პოზიცია შეეცვალა. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ ნიკოლოზ ბარათასვილმა თავისთვის სანუკვარი იდეალი, იდეალი თავისუფლებისა სოლომონ ლიონიძის პირით გამოხატა. არსებობს აზრი პოეტის გაორების შესახებ - რომ თითქოს ჩვენი პოეტი აქ, ამ პოემაში, ერთგვარად გაორებულია, მას ხიბლავს სოლომონ

ლიონიძის აზრი, გრძნობით მას უჭერს მხარს, მაგრამ გონებით კი ხედავს, რომ მეფე ერეკლეს პოზიცია მოფიქრებულია, დასაბუთებული და შეუვალი. არსებობს კიდევ ერთი აზრი, რომლის მიხედვითაც, პოემაში არაა პოეტის პოზიცია გამჟღავნებული, მან ობიექტურად წარმოაჩინა ორი განსხვავებული აზრი და გადაწყვეტა კი მკითხველს მიანდო.

სამაგისტრო ნაშრომის ამოცანა არაა ამ შეხედულებათა ცალ-ცალკე ანალიზი. ჩემთვის სავსებით დამაჯერებელია და მისაღები ის პოზიცია, რომელიც გამოხატულია ,,ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის" I წიგნში, სადაც ნარკვევი ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ ეკუთვნის პროფესორ გრიგოლ კიკნაძეს,ეგეევე თვალსაზრისი გაზიარებულია და განვითარებული წიგნში ,,ქართული ლიტერატურა" II (XIX საუკუნე),ავტორები ი. ევგენიძე და ლ. მინაშვილი 2013 და ა.შ.

ამ შეხედულების მიხედვით, მეფე ერეკლესა და სოლომონ ლიონიძეს შორის გამართულ პაექრობაში, რომელიც ,,ბედი ქართლისას" მეორე კარშია წარმოდგენილი, პოეტმა მეფე ერეკლეს ისეთი არგუმენტები წარმოათქმევინა, რომელსაც სოლომონ ლიონიძემ არსებითად ვერაფერი დაუპირისპირა. მეტიც, მართალია ნ. ბარათაშვილმა არაჩვეულებრივი სიმკვეთრით გვიჩვენა სოლომონ ლიონიძის განცდათა კეთილშობილური ტრაგიზმი, მაგრამ ამასთანავე ქართლის ბედის საკითხში მისი პოლიტიკური ხედვის ერთგვარი შეზღუდულობაც გვანიშნა იმით, რომ ირაკლი მეორეზე თვით სოლომონ ლიონიძეს ათქმევინა:

,,მაგრამ ვინ იცის! იგი იქნება,
უკეთ ჰფიქრობდეს, რაც გვეჭირვება!
ზოგჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის
გონება ყრმათა ვერა მიჰხვდების!"

(ნ.ბარათაშვილი, 1922 : 139).

,,განა ამას ათქმევინებდა ბარათაშვილი სოლომონ ლიონიძეს, რომ არ ხედავდეს მეფის გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას. მიუხედავად იმ გულისტკივილისა, რაც მის გამოტანას ახლავს. რასაკვირველია არა ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პოემაში გაცემულია პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ირაკლის ნაბიჯი. პოეტი

ამ ნაწარმოებში ამართლებს ირაკლის მოქმედებას. ნიკოლოზ ბარათაშვილის აზრს სიცხადე არ აკლია, რამდენადაც ეს ეპიკური ფორმით დაწერილ ჭეშმარიტ მხატვრულ ქმნილებას შეეფერება" (გრ. კიკნაძე,2009: 28-29).

გარდა ამისა, რაც საგანგებოდ იმსახურებს ყურადღებას, ნიკოლოზ ბარათაშვილმა პოემაში ცხადად გვიჩვენა არა მარტო მიზანშეწონილობა მეფის გადაწყვეტილებისა, არამედ მეფე ერაკლეს ჩამოაშორა ის საყვედური, თუ შეიძლება ითქვას, ბრალდება, რომელსაც უყენებდნენ მანამდეც და შემდეგაც - რუსთ ხელში ჩაგვაგდოო. ხშირად უთქვამთ, დაუწერიათ მეფე ერეკლე სწორუპოვარი სარდალი იყო, მამაცი, უშიშარი მებრძოლი, მაგრამ როგორც პოლიტიკოსი შედარებით სუსტიო, გულუბრყვილობასაც კი სწამებენ სხვა ქართველ პოლიტიკოსებთან ერთად, რუსეთზე ნდობის თვალსაზრისით.

პოემაში აზრთა მსვლელობა ასე გრძელდება, როცა სოლომონმა მოისმინა მეფის განზრახვის შესახებ, დიდად შეწუხდა: ,,მას არ სჯეროდა, რომ ირაკლის გულს ჰხედავდა იგი ესეთ შეცვალებულს". მისი რეაქცია ასეთი იყო:

,,რასა მიბრძანებ! ჰკადრა მან მეფეს,

ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს,

ნუ გააგონებ მაგ ჯმას ქართველთა,

ეზდენ შენზედა მსასოებელთა!"

(ნ,ბარათაშვილი,1922:79).

სოლომონი მეფეს დაჟინებით თხოვს, თუ რუსეთთან შეკედლება აუცილებელია, თვითონ ირაკლი მაინც ნუ გააკეთებს ამას, ნუ მისცემს მასზე მლოცველ ქართველ ხალხს თავს სასაყვედუროდ. დაე ეს საქმე მან ჰყოსა, ,,ვინც ვერ განაგოს ქართლი".

და აი რას პასუხობს ამაზე მეფე: კარგი, ჩემო სოლომონ,

,,აი მივიღებ მე შენთ რჩევათა

და დავიდუმებ ჩემსა გულის თქმას;

ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,

რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,

ქართლსა დაიცავს რუსთ ჯელმწიფება!"

(ნ. ბარათაშვილი,1922:79).

ამ სიტყვებიდან შესანიშნავად ჩანს, რომ გენიალური პოეტის აზრით, ქვეყნის პოლიტიკური ბედის განსაზღვრა მეფის ნებაზე კი არაა, მეფის დამსახურება ის კი არაა, რომ მას მიყავს ქვეყანა რუსეთისაკენ, არამედ ის ,რომ მეფე კარგად ჭვრეტს იმას, რასაც ჯერ მისი ყმანი ვერ გრძნობენ, ხედავს ისტორიის მსვლელობას, მის გარდუვალობას, იმას, რომ გაძლიერებული რუსეთი კავკასიაში მოიწევს, რომ იგი მაინც შემოვა კავკასიაში. ერეკლეს სიბრძნე, ნ. ბარათაშვილს მიხედვით, ისაა, რომ იგი ზრუნავს რუსეთის შემოჭრა კავკასიაში შედარებით უმტკივნეულო გახადოს, აირიდოს ნგრევა, ხალხის უაზრო მსხვერპლი და პოლიტიკურ ენაზე განამტკიცოს რუსეთთან კავშირი.

ყოველივე ამის გათვალისწინებით იძენს სრულიად გარკვეულ აზრს პოემის დასასრული:

,,აღავსო კვალად ერმან ტფილისი,
რა მობრძანება ჰსცნა ირაკლისი.
ქალაქი ისევ ჩქარად აშენდა,
თუმცა ადრინდელს მრავალი აკლდა.
წარვიდენ წელნი მოსვენებისა
და კვლავ ირაკლიმ ჯრმალი ბრძოლისა
აღიღო ლეკთა შესამუსვრელად!
არც სპარსნი მორჩნენ დაუმარცხებლად.
სიბერის ჟამსა მოიცა ძალი
და შეაძრწუნა კვალად ოსმალი;
კვლავ ასახელა თავის სახელი;
მაგრამ ამაო იყო ყოველი:
დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის
გარდაიწყვიტა გულმან ირაკლის!"

(ნ. ბარათაშვილი, 1922:85-86).

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ათქმევინა მეფეს კიდევ ერთი მიზეზი და წუხილი მომავლის უიმედობისა. გულდამძიმებული ერეკლე მეფე დაუფარავად იტყვის თავის „ყმათა“ ურთიერთ წეწვა-გლეჯვის შესახებ. ამ გაჭირვების ჟამს, როცა სხვადასხვა ჯურის

მტერი ესევათ, „ყმანი ჩემნი ურთიერთს ბძარვენო“,- იტყვის მეფე და მწარედ ამოიგმენს შემდეგ სიტყვებს:

„მარქვი, რომელს შვილს ჰხედავ ღირსეულს,

რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?..“

(ნ.ბარათაშვილი,1922 :89)

პოეტს არ აკმაყოფილებს ყოველივე ეს, რაც პოემაში გამოსახა. მისი მიზანია ქართველებს გაუაზროს მეფის ღვაწლი არა მარტო მოცემულ კრიტიკულ მომენტში საკითხის გადაჭრისას, არამედ აჩვენოს მეფის ნაანდერძევის მნიშვნელობა ქვეყნის მომავლის თვალსაზრისითაც. ამას ემსახურება შესანიშნავი ლექსი „საფლავის მეფის ირაკლისა“, რომელიც 1844 წელსაა დაწერილი.

ლექსი დაწერილია პოემა ,,ბედი ქართლისა“-ს შემდეგ და მასში ასახულია საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგები. თუ პოემაში ნიკოლოზ ბარათაშვილი რუსეთთან დაკავშირების საკითხზე გვესაუბრება,ლექსში უკვე ამ შეერთების **ნაყოფზე** და მის შეფასებაზეა საუბარი. ლექსში წარმოდგენილია ის შედეგები რაც ,,განსყიდული“ დამოუკიდებლობის, ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო საქართველომ და აფასებს იმას, თუ რამდენად გამართლდა ერაკლე მეორის იმედები. იგი ერეკლეს სასარგებლოდ გამოთქმულ შეხედულებას ,,ხელმწიფურ აზრს“ უწოდებს. პატივს მიაგებს მეფის საფლავს და ჰმადლობს ყოველივე იმისათვის რაც მან თავის ქვეყანას გაუკეთა.

,,აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,

და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი.“

(ნ.ბარათაშვილი, 1922104).

შემდეგ ლირიკული ლექსის შესაძლებლობათა ფარგლლებში საუბარია ამ შეერთებით გამოწვეულ დადებით შედეგებზე. პოეტის ასეთი შეხედულება შეიძლება ვივარაუდოთ იმ შედარებით უკეთესი კულტურული თუ პოლიტიკური ვითარებით, რომელიც სუფევდა იმ პერიოდში საქართველოში. მწერალი ხედავდა, რომ ასე თუ ისე ქვეყანა დაწყნარდა და დამშვიდდა. ამდენხნიანი ბრძოლისაგან დაღლილი ერი დამშვიდდა. მოიპოვა ასე ნანატრი მშვიდობა. ახლა აღარ ერჩის კასპიის ზღვის ღელვა

ქვეყანას და შეწყდა მტრის შემოსევა ამ მხრიდან. პოეტი ასევე ხედავდა,რომ უცხოეთში გადახვეწილი ქართველები ახლა შინ ბრუნდებოდნენ და განათლება შემოჰქონდათ:

,,და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,

მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!“

(ნ.ბარათაშვილი,1922:104).

ლექსში პოეტი გვევლინება არა როგორც ისტორიული ფაქტის გადმომცემელი, მიუკერძოებელი მთხრობელი, არამედ როგორც შემფასებელი, რომელსაც შეუძლია მკაფიოდ და ნათლად დააფიქსიროს საკუთარი აზრი და შეხედულება რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობაზე. მისი შეფასებით ერეკლე „მხცოვანი“ და „განათლებული გმირია“. იგი იყო ივერიის „სიმტკიცის სული“. ერეკლე შორსმჭვრეტელი მეფე იყო, ხელმწიფური აზრის მპყრობელი. ლექსის მიხედვით, პოეტს ახლა არ აინტერესებს რუსეთის სიხარბე თუ მისი დიდმპყრობელური ბუნება. მისთვის ახლა მთავარია ის, თუ ქართველს რა სიკეთე შეუძლია შეიძინოს იქ, რუსეთში, და თავის მამულში მოიტანოს, აქ დანერგოს „ტკბილნაყოფიერი“ ნერგი. ეს იმ კეთილი თესლის მიმოქცევაა, რასაც მხოლოდ „მოაქვს მამულში განათლება და ხმა საამო“, და რაც სიკეთედ უბრუნდება სიკეთის მთესველს. ნ. ბარათაშვილი რუსეთთან ურთიერთობის ყველაზე დიდ შედეგად და სათაყვანებელი მეფის დამსახურებად მიიჩნევს ქვეყანაში მშვიდობის დამკვიდრებას, ათასი ჯურის მტერთა შემოსევებისაგან სამშობლო ქვეყნის თავისუფლებას: მამულის დასაცავად ახლა აღარ არის საჭირო გამუდმებული ხმლის ქნევა და თოფის სროლა.

ამ ლექსში პოეტის მიერ განვითარებული აზრი ,,ტკბილ ნაყოფის" შესახებ, რომელიც მეფის ნაანდერძევ-ნაამაგარს მოჰყვა, არ გულისხმობს, რომ ნ. ბარათაშვილი კმაყოფილია იმ პოლიტიკისა, რაც რუსეთის მიერ საქართველოს პრაქტიკულ დაპყრობას და საქართველოს სამეფოს გაუქმებას მოჰყვა. ბარათაშვილი იმ უსამარრთლობასაც კარგად ხედავს, რასაც რუსი მოხელეები საქართველოში სჩადიან და არ ურიგდება ამ ფაქტს. ამ აზრით დაუმორჩილებლობისა და ბრძოლის სულისკვეთების გამომხატველია მისი პოეზია.

თავი III

მეფე ერეკლე გრიგოლ რჩეულიშვილის მოთხრობის გმირი

დასასრულ, ქართველ რომანტიკოსთაგან მეფე ერეკლეს პიროვნებისადმი ინტერესი გამოავლინა ქართული რომანტიკული პროზის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა გრიგოლ რჩეულიშვილმა. გრიგოლ რჩეულიშვილი იყო პირველი პროზაიკოსი, რომელმაც თვალი ევროპული რომანტიკული პროზისაკენ მიმართა. მან ჯერ თარგმნა და გადმოკეთება დაიწყო და შემდეგ ორიგინალური თხზულებებიც დაწერა. რომანტიკული პროზის ზოგიერთი წარმომადგენელი, მსგავსად რუსულ-ევროპული რომანტიკული პროზისა, ცდილობს საქართველოს ადრეული ქართული არისტოკრატიის ისტორია გამოიყენოს მასალად. სწორედ მისი გამორჩეული წარმომადგენელია გრიგოლ რჩეულიშვილი. მეფე ერეკლე განსახიერებულია მოთხრობაში ,,ქვრივის ლიმონები", რომელიც 1857 წელს გამოქვეყნდა, თუ ადრეული ქართველი რომანტიკოსები ერეკლე მეფის შთამომავალნი, ამაყობდნენ სწორუპოვარი მებრძოლის სიმამაცით, სიმარჯვით, რომელიც ყველას აოცებდა, გრიგოლ რჩეულიშვილმა ეს ტრადიცია მკვეთრად დაარღვია და პირველად წარმოგვიდგინა სახელოვანი მეფე მშვიდობის ჟამს, ჩვეულებრივ ყოფაში. თავისი შვილობილის, ქვრივი კეკეს გათხოვებისათვის მზრუნველი. რა თქმა უნდა, ასეთ გარემოში წარმოდგენილი მეფე სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ალექსანდრე ორბელიანისათვის და მწვავე რეცენზია დაწერა ამ მოთხრობაზე. ალ. ორბელიანმა გრ. რჩეულიშვილი ჰეროსტრატესაც კი შეადარა, რომელმაც, მისი სახელი რომ დარჩენილიყო, არტემიდეს ტაძარი გადაწვა. ცხადია, ალ. ორბელიანი ცდება . გრ. რჩეულიშვილს ფიქრადაც კი არ გაუვლია სახელოვანი მეფის დამცირება, პირიქით, იგი დიდი თაყვანისმცემელია პატარა კახისა. მწერლის განზრახვას წარმოადგენს მეფის ყოველდღიურ ყოფაში, ჩვეულებრივი ადამიანური განცდებით, მოკვდავის ამპლუაში დანახვა.

ჩვენთვის ახლა ეს მოთხრობა იმ მხრივაა მნიშვნელოვანი, რომ მწერალმა მეფე წარმოგვიდგინა, როგორც საქართველოს მომავალზე მოფიქრალი თვით ასეთ პირობებშიაც კი. მეფის ერთგვარ მონოლოგში მწერალი ფართოდ ჩერდება იმ

პოლიტიკურ ვითარებაზე, რამაც მეფე ერეკლეს საბოლოოდ მიაღებინა გადაწყვეტილება, რომ რუსეთს დაკავშირებოდა. მეფის მსჯელობა მოთხრობის მიხედვით ასე წარმოგვიდგება: *,,სახლი არ არის, რომელმაც ერთი წელიწადი უმგლოვროდ განატაროს, სახლი არ არის, რომ სამს ძმაში ერთი ძმა არ გათათრებულიყოს ძალით, ანუ ტყვეთ არ იყოს წაყვანილი... მარად დაწვა, მარად ხოცვა, მარად აღრეულება, ნუთუ ბოლო არ უნდა ჰქონდეთ ამათ?.. დღეს არის თუ ხვალ საქართველოს მოეღება ბოლო. ივი აუცილებლივ გათათრდება... თანდათან უკან მიდის. შებეზრდა ხალხიც დაუცხრომელ სისხლისღვრასა და ტანჯვასა. საქართველოს აღარ შეუძლიან მარტო ბრძოლა ყოვლის მხრივ ასიებულ მტერთან. ივი მოხუცდა, მოუძლურდა, ძალა გამოელია ჩემსავით... მე დავიწყე შეკავშირება საქართველოსი რუსეთთან. რუსნი ძლიერნი არიან, ჩვენი მერჯულენი არიან, ამათ შეუძლიანთ მტრის გაძღოლა, ისინი დაამყარებენ ქართველთ თავის სარწმუნოებაზედ, დაფარვენ თავის ძლიერის ფრთებით... ვინც უნდა მლანძღოს, ვინც უნდა მაგინოს, მე ამ საქმისათვის მხოლოდ შთამომავლობისაგან მოველი სიმართლეს: ივი დააფასებს ჩემს შრომასა, ჩემს მოქმედებას... თუ მე ღმერთი არ მაღირსებს ჩემს სიცოცხლეშივე საქართველოს შეკავშირებას რუსეთთან მყარის კავშირით, მე ანდერძად დაუგდებ ჩემს შვილს გიორგის. ეს უფრო გონიერია და შორსმხედველი სხვა ჩემს შვილებზედ, მაგრამ სნეულია... ძმები ამას უსისხლოდ არ დაანებებენ ტახტსა... ალექსანდრე აბეზარი შვილია. ის არ მოისვენებს, მიიმხრობს დანაშთენსა ძმებსა: იულონს, ალმასხანს, მირიანს, ფარნავაზს. ეხლავ ვხედავ მე იმათში განხეთქილებას... ზოგი სპარსეთში გაიქცევა, ზოგი ოსმალეთში, და ზოგი სადა, წამოიყვანენ ჯარსა და ააკლებინებენ საქართველოს... უზესთაესო არსებავ! შეიბრალე საქართველო, აკმარე ესოდენი გამოცდა და ტანჯვა, რომელსაცა სწევს და ითმენს მხოლოდ შენის სახელის სადიდებლად, ქრისტიანობისა... შენ დააგვირგვინოსანე ეს კავშირი შენის მოწყალებით, თუ რომ კეთილი იყოს. ოჰ, საბრალო საქართველოვ!... ნეტავი ორმოცის წლის შემდეგ ჩემის სიკვდილისა, კვალად მაჩვენა ანუ გამაგონა შენი მდგომარეობა რუსეთის ხელში, ჩემი მაწყევარი იქნება თუ მლოცველი ამ ფიქრისათვის... გულთამხილავმა ღმერთმა ხომ იცის, რომ მხოლოდ შენის ბედნიერებისათვის დავიწყე რუსეთთან ეს კავშირი და არა ჩემის დიდებისათვის... არ არის იმგვარი მსხვერპლი,*

რომლის შეწირვაც არ გამოვიმეტო შენს დასამშვიდებელად, შენს გასაბედნიერებელად, უძლურო საქართველო!.." (გრ. რჩეულიშვილი, 1965: 37-38).

მოთხრობის ამ ეპიზოდს ყველა მკვლევარი აკავშირებს ნ. ბარათაშვილის პოემა ,,ბედი ქართლისასთან", კერძოდ მეფე ერეკლეს არგუმენტებთან რუსეთთან დაკავშირების სასარგებლოდ. რა თქმა უნდა, ეს დაკავშირება სავსებით ლოგიკურია და დამაჯერებელი, მაგრამ მხოლოდ მსგავსებაზე მითითება საკმარისი არამც და არამც არაა. გავლენაზე მითითება შეურიაღაბელი თვალითაც ჩანს, ამას არ ჭირდება საგანგებო დასაბუთება და ძიება. მთავარი ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ბევრს სხვა შემთხვევაში, განსხვავების ჩვენებაა. რა განასხვავებს, რა გამოარჩევს გენიალურ პოეტს გრიგოლ რჩეულიშვილისაგან.

საქმე ისაა, რომ გრ. რჩეულიშვილის ,,ქვრივის ლიმონების" მიხედვით საკითხის ტრადიციულ გაგებასთან გვაქვს საქმე - კერძოდ აქ თვითონ მეფე ერეკლეს მიჰყავს საქართველო რუსეთთან კავშირისაკენ იმ მიზეზების გამო, რაც ჩამოთვლილია ჯერ ნ. ბარათაშვილის პოემაში და შემდეგ გამეორებულია გრ. რჩეულიშვილის მოთხრობაში. ეს მეფის ნებაზე და სურვილზეა დამოკიდებული, ამიტომაც აინტერესებს მეფეს - დაგმობს თუ დალოცავს მომავლის ქართველი მას. უფრო კი წამს, რომ საქართველო მადლიერი იქნება მისი და მოუწონებს გადაწყვეტილებას საბოლოოდ. შთამომავლებისაგან ელის პასუხს მისი საქციელისას და წამს რომ ეს პასუხი დადებითად შეაფასებს მის პოლიტიკურ მოღვაწეობას.

როგორც უკვე სათანადო ადგილზე მითითებულ იქნა, ნ. ბარათაშვილის პოემაში ვითარება არსებითად განსხვავებულია. ნ. ბარათაშვილი მეფის არგუმენტებით ჯერ თვალნათლივ აჩვენებს რუსეთთან კავშირის დიდ უპირატესობას, მაგრამ იგი აქ კი არ ჩერდება, არამედ იმასაც ძალიან ნათლად გვიჩვენებს, რომ რუსეთისკენ ქვეყნის წაყვანა მეფის ნებაზე კი არაა დამოკიდებული, არამედ ეს ისტორიული გარდუვალობაა.

რუსეთი კავკასიისკენ მოიწევს და დღეს თუ ხვალ იგი ან ძალით დაიპყრობს კავკასიას ნგრევისა და ხოცვა-ჟლეტის ფასად, ან ნებით. შორსმჭვრეტელი მეფე იმას ხედავს, რასაც მისი ყმანი ვერ გრძნობენ, და ქვეყანა ისე მიჰყავს , რომ მას უაზრო ნგრევა, მსხვერპლი აარიდოს, თავად ცდილობს წინასწარ განამტკიცოს რუსეთთან

ხელშეკრულებით მშვიდობიანი ურთიერთობა, რომ მძიმე შედეგი არ დაუდგეს საქართველოს. რომ არა მეფის ეს გადაწყვეტილება, რთული წარმოსადგენია რით შეიძლება დასრულებულიყო რუსეთთან საქართველოს ურთიერთობა. მეფის ამ გადაწყვეტილების შედეგი ვერ იქნებოდა წინასწარ მისთვის ცნობილი. არჩევანის საშუალება არ ქონდა ერეკლეს. ამ ყველაფერს ჩასწვდა ნიკოლოზ ბარათაშვილი და ჯერ კიდევ მაშინ წარმოგვიდგინა პოემაში მეფის ეს ფიქრები, როდესაც ამას საზოგადოების რჩეული ნაწილი ვერ აღიქვამდა. რა თქმა უნდა, პოეტის აზროვნების სიღრმე, მასშტაბურობა ჯერ კიდევ გაუგებარია არა მარტო თანამედროვეთათვის, არამედ რომანტიკოს გრიგოლ რჩეულიშვილისთვისაც, რომელიც მთელი მეოთხედი საუკუნის შემდეგ წერს მოთხრობას ,,ქვრივის ლიმონები".

დასკვნა

ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ერეკლე მეფის პიროვნების, მისი საბრძოლო და პოლიტიკური ღვაწლის დახასიათებისას ასეთი დინამიკა გამოიკვეთა:

გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების პოეზიაში გაცოცხლდა და ხოტბის ობიექტად იქცა სახე დიდი მეფისა, ძვირფასი პაპისა, როგორც საარაკო გმირის, სიმამაცის, უშიშრობის განსახიერებისა, რომელიც შიშის ზარს სცემდა მტრებს და ბრძოლის ველიდან დამარცხებული არასდროს გამოსულა.

დიდი წინაპრის გმირობისა და სიმამაცის აღწერა ჩვენს პოეტებს, მძიმე დროში მცხოვრებთ, ქვეყნის დაუძლურების, სახელმწიფოებრიობის მოშლის მომსწრეთ, ერთგვარად სულს უბრუნებდა, შელახულ ღირსებას მალამოდ ედებოდა. იმასაც მწარედ განაცდევინებდა, რომ საქართველოს დიდება მეფე ერეკლესთან ერთად დაიმარხა.

გენიალურმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის პოეზიაში, კერძოდ პოემაში ,,ბედი ქართლისა" და ლექსში ,,საფლავი მეფის ირაკლისა", პირველ ყოვლისა დახატა არა მაინცადამაინც ხმალშემართული , მებრძოლი მეფე, არამედ მეფე განმსჯელი პოლიტიკოსი, განმსაზღვრელი ქართლის ბედისა. ნ. ბარათაშვილის მიხედვით აქაც, ქვეყნის მომავლის განსჯისას, მეფე წარმოდგება როგორც შორსმჭვრეტელი, ბრძენი ადამიანი, რომელიც სწორად აფასებს შექმნილ ვითარებას და ქვეყნის მომავლის არჩევანში ერთადერთ სწორ გზას ადგება-რუსეთთან დაკავშირების გზას. ერეკლეს აზრით, ეს გზა ერთადერთიცაა და თანაც გარდაუვალი. რუსეთი კავკასიისაკენ მოიწევს და ,,დღეს იქნება თუ ხვალ", იგი შემოვა კავკასიაშიც და საქართველოშიც. რუსეთთან წინააღმდეგობა უაზრო ნგრევას გამოიწვევს და ისედაც შემცირებულ მოსახლეობის გაუმართლებელ მსხვერპლს. შორსმჭვრეტელი მეფე ცდილობს დაასწროს რუსეთს და სამხედრო კავშირი შესთავაზოს. ბარათაშვილმა ,,ბედი ქართლისაში" მეფე ერეკლე დამაჯერებლად გაათავისუფლა გაუთავებელი საყვედურებისაგან, რუსების ხელში ჩაგვაგდოო.

ლექსში ,,საფლავი მეფის ირაკლისა" ნ. ბარათაშვილმა უკვე შედეგის მიხედვით შეაფასა მეფე ერეკლეს პოლიტიკური ნაბიჯი. მან ლირიკული ლექსის შესაძლებლობებში

აჩვენა ამ ნაბიჯის დადებითი შედეგები. ბარათაშვილი ძალიან კარგად ხედავდა იმ უსამართლობას , ძალადობას, რაც რუსეთის მოსვლას მოჰყვა, პოეტი ბუნებრივია შეურიგებელია ამ უსამართლობასთან. მთელი მისი პოეზიაა გამოხატულება შეურიგებლობისა და ბრძოლისა უსამართლობის წინააღმდეგ, მაგრამ პოეტის აზრით, იმ დადებით შედეგებს, რაც მოჰყვა რუსეთის საქართველოში დამკვიდრებას, უნდა განესაზღვრა უკეთესი მომავალი ქვეყნისა.

და ბოლოს, მეფე ერეკლეს სახე დახატა რომანტიკული პროზის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა გრიგოლ რჩეულიშვილმა თავის მოთხრობაში ,,ქვრივის ლიმონები". აქ სიახლის თვალსაზრისით აღსანიშნავი ისაა, რომ მეფე განსხვავებით წინა თაობის რომანტიკოსთაგან, მან უკვე გვიჩვენა ჩვეულებრივ ყოფაში, დაკავებული ყოფითი საზრუნავით, თავისი შვილობილის ბედზე ზრუნვით. მეფის ასეთ ვითარებაში დახატვამ ალექსანდრე ორბელიანის დიდი გულისწყრომა გამოიწვია და მან მწვავედ გააკრიტიკა მწერალი.

ჩანს, ბარათაშვილის გავლენით, გრ. რჩეულიშვილი მეფის ფიქრებსაც გვაცნობს რუსეთთან დაკავშირების თვალსაზრისით და ამ კავშირის ერთადერთობაზე მსჯელობს, მაგრამ ფაქტია, რომ ნ.ბარათაშვილის პოზიციის სიღრმეებს მაინც ვერ წვდება და უფრო გავრცელებული და ტრადიციული შეხედულებების დონეზე რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კიტა აბაშიძე-ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო", თბილისი,1970 წ.
2. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია- ტ. I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1972 წ.
3. ნიკოლოზ ბარათაშვილი- ,,ლექსები ბედი ქართლისა წერილები“ ტფილისი,1992 წ.
4. იუზა ევგენიძე,ლადო მინაშვილი- ,,ქართული ლიტერატურა (XIX საუკუნე)- თბილისი, ,,საქართველოს მაცნე“,2013 წ.
5. გრიგოლ კიკნაძე- ,,ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილის,1978 წ.
6. ვახტანგ კოტეტიშვილი-წერილები, თბილისი,2016.
7. აპოლონ მახარაძე- ,,ქართული რომანტიზმი“, ,,განათლება“ თბილისი,1990 წ.
8. თხზ. ალ. ვახ. ჯ. ორბელიანისა-ტრაგედია, ტფილისი, ლ. კრამარენკოს და ამხ. სტამბა ავლაბარში,1877 წ.
9. ლექსები ვახტანგ ორბელიანისა-სრული გამოცემა, მისი ასულის მარიამ ორბელიანისა, ტფილისი,1894 წ.
10. გრიგოლ ორბელიანი- ლექსები, გამომცემლობა ქართული წიგნი, ტფილის,1928 წ.
11. გივი ჟღენტი-ნარკვევები ქართული რომანტიზმის ისტორიიდან. გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი,1970 წ.
12. გრიგოლ რჩეულიშვილი-თხზულებანი, გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო",თბილისი,1965 წ.
13. ქართული პოეზია თხუთმეტ ტომად-ტ.10, XIXს.-XXს-ის დასაწყისი, საქართველო საბავშვო და ახალგაზრდობის ლირეტატურის სახელმწიფო გამომცემლობა. ,,ნაკადული“ თბილისი,1978 წ.
14. აკაკი წერეთელი- ,,ჩემი თავგადასავალი", პროზა, თბილისი,2012 წ.

15. ილია ჭავჭავაძე-თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ.3 წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე, პრესა ფელეტონები, საქართველო სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილის,1953 წ.
16. ზ. ჭიჭინაძე-ავტორის ბიოგრაფია,წიგნი ალ.ორბელიანი,ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო,ტრაგედია 4 მოქმედებად. ტფილისი,1877 წ.
17. არჩილ სპარსიაშვილი, ზაზა სპარსიაშვილი - ერეკლე მეორე და ქართული მწერლობა [XIX საუკუნე], გამომცემლობა თბილისი 2005 წ.
18. გერონტი ქიქოძე- ერეკლე მეორე, გამომცემლობა ნაკადული, თბილისი 1983 წ.
19. ომან ხერხეულიძე-მეფობა ირაკლი მეორისა,გამომცემლობა თბილისი, 1989 წ.
20. ილია ჭავჭავაძე- თხზულებანი სრული კრებული ხუთ ტომად,ტ.2 წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე, პრესა, ერი და ისტორია, წერილები სახალხო განათლების საკითხებზე. პავლე ინგოროყვას რედაქციით. გამომცემლობა თბილისი,1941 წ.
21. გრიგოლ ორბელიანი-პოეზია, პროზა, წერილები. გამომცემლობა თბილისი 2013 წ.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty ofHumanities

Master's programme: Georgian Literature

Kokuashvili Natia

King Erekle's Face in Georgian romanticists' Works

The work is represented for the Masters degree of Georgian Literature

Supervisor: Lado Minashvili

Doctor of Philology, TSU Associated Professor

Tbilisi

2019